

**ადმინისტრაციული სამსახურის
შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციები, მოვალეობები და უფლებები**

1. შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციები და მოვალეობები:

- ა) შესყიდვების კოორდინაცია. შესყიდვების გეგმის მომზადება მომავალი წლისათვის, გეგმის და მისი ცვლილებების სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ატვირთვა გენერალურ დირექტორთან შეთანხმებით. აკრედიტაციის ცენტრის შესყიდვების შიდა ინსტრუქციის დაცვა;
- ბ) შესყიდვებზე ხელშეკრულებების მომზადება, სისტემაში ატვირთვა. ა/ფაქტურების, მიღება-ჩაბარებების და საგადასახადო დავალებების მიზმა;
- გ) შესყიდვების გეგმაში ხარჯების გატარებების წარმოება ელ.ფორმით;
- დ) საბუღალტრო პროგრამა “ორისი”-ს წარმოება;
- ე) ა/ფაქტურების რეესტრების წარმოება;
- ვ) მივლინებების, საავანსოების შემოწმება და მემორიალების წარმოება;
- ზ) ტრანსპორტისა და ოფისის უწყვეტი დაზღვევით უზრუნველყოფის ორგანიზება;
- თ) საბალანსო ანგარიშის შიდა ფორმის წარმოება;
- ი) მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების აღრიცხვა-ანგარიშგება;
- კ) საკუთარ სამუშაო ადგილზე წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემის მოგვარება შესაძლებლობის ფარგლებში და თუ საკუთარი ძალით არ ხერხდება პრობლემის მოგვარება, მაშინ ტრანსპორტისა და მეურნეობის სპეციალისტის ინფორმირება პრობლემის შესახებ;
- ლ) ხელმძღვანელობისათვის წინადადებების შეთავაზება ცენტრის დოკუმენტაციის და საქმიანობის გაუმჯობესებისათვის (წერილობით);
- მ) გენერალური დირექტორის/მისი მოადგილის და სამსახურის უფროსის სიტყვიერი და წერილობითი მითითებების შესრულება;
- ნ) აკრედიტაციის ცენტრის შიგაგანაწესის დაცვა;
- ო) წერილების მომზადება კომპეტენციის/დავალების ფარგლებში;
- პ) შესყიდვების კოორდინატორის არ ყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს ადმინისტრაციული სამსახურის ბუღალტერი ან გენერალური დირექტორის მიერ განკარგულებით განსაზღვრული სხვა პირი.

2. შესყიდვების კოორდინატორის უფლებები:

- ა) კომპეტენციის ფარგლებში კონტაქტები დაამყაროს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ცენტრის სახელით.
- ბ) იქონიოს ავტორიზაცია სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში.
- გ) იქონიოს ავტორიზაცია სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში, შესყიდვების გეგმის/მისი ცვლილებების და შესყიდვების ხელშეკრულებების ასატვირთად.